

რედაქცია

გადაცემის პარასკევი... რედაქცია... ხელის-მოწერა... მისამართი... ღირებულება...

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დღის ასობით... ფასი... განცხადების... მისამართი...

არწრუნის თეატრი. დღეს, 12 ნოემბერს ახალმშენების რიცხვში პირველი დეიუტი ქალ. ელის. ლეჟავასი.

ბ. კორინთელისა

ქართული დრამატული დასისაგან წარმოდგენილი იქნება პირველად სურამის ციხე

სამოქალაქო დაჯილდოების ღირებულება 329,307 მან. უნდა გადახდეს.

„გოლასში“ სწორედ რადგან ღენ. მრავალსავე ეირომის ომის დროს მიღებული ჯარისკაცების დასუსტებულობა, ამის გამო იმის მიენიჭა უფლება, რომ თავის ხარჯით წავიდეს ციმბირში და არ გადასახდეს სხვა ტრასალებთან ერთად.

„ახალ დროებაში“ დაბეჭდილია, რომ ზეც. ობერ-ზოლიციმეისტერმა წარადგინა ახალი პროექტი საიდუმლო ზოლიციმის დაწესებისა; ვინც ამ ზოლიციმში შესვლას მინდობს, განსაკუთრებული ეგზემენი უნდა დაეჭიროს; სულ უმცირესი ჯამბიერი იქნება 1,500 მან. წელიწადში.

Table with 2 columns: Name and Amount. Includes entries like 'პატარაშვილის ბირჟა', 'ბანკის ბილეთები', 'პირველი ვაშლი', etc.

Table with 2 columns: Name and Amount. Includes entries like 'შინაგანის 5% სესხის ბილეთები', 'პირველი სესხის', 'მეორე სესხის', etc.

დღიური

ბაეილი ორშაბათს, 8 ნოემბერს, ჩვენი ქალაქის ჩრევას ჰქონდა უკანასკნელად მოლაპარაკება ქალაქში წყლის გაყვანის თაობაზე. მოგვხსენებთ, რომ ამას წინაღობა გარდაწყვეტა, რომ წყლის გაყვანისათვის ქალაქს 607,000 მანეთზე მეტი არ დაეხარჯოსო და ეს გარდაწყვეტილება ეცნობის ბელგიის კამპანიას (მანდერლატს და ამხ.), რომელიც ამ საქმეს ჰქისრულობს. ამ სხდომაზე ქალაქის ბამგეობამ მოახსენა ჩრევას, რომ მანდერლატი და ამხ. 669,000 მანეთზე ნაკლებ არ ჰქისრულობს ქალაქში წყლის გაყვანისათვის და თანახმა ხართ ამზე, თუ არაო.

ბაზედ. ამ მოხსენებებში აღმოჩნდა, რომ ხსენებულს სკოლაში უნდა ისწავლონ ქალაქში მხოლოდ ხატვა, ხაზვა და სხვა და სხვა ხელობა: კერძო, შლიაბების კეთება, ქოფა, კრუჟეოს კეთება და ამას გარდა, მესამე წელიწადს, ბუნებულტერია.

ჩრევამ ხმის უმეტესობით გარდაწყვიტა კომიტეტისაგან წარდგენილ წესდების დამტკიცება.

მომავალ წლის 1 იანვარს შეტყობილება ოც-და-ხუთი წელიწადი სომხურ ვაჭრების „მელუ ჰაიასტანის“ (სომხეთის ფუტყარის) არსებობისა. ზოგიერთს პირებს, რომელნიც ამ ვაჭრების მიმართულებას თანაუგრძობენ და იმის მოღვაწეობას აფასებენ, განუზრახავთ ამ დღის დღესასწაულობა და აცხადებენ, რომ ვისაც ამ დღესასწაულში მონაწილეობის მიღება ჰსურს, „ბაგასის წიგნის საეპროში“ ან „შავერდოვის საეპროში“ შეუძლიანთ ხელი მოაწერონო.

ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი ერთი მღვდლისაგან:

„როგორც ჰსჩანს მოწერილობიდან, ახალ ეგზარხოსს უნებებია საქართველოს ეპარქიის სამღვდლოთ ყრილობა ქ. ტფილისს ამ თვის 23-თენ, საეპარქიო ქალების სასწავლებლისა და სხვა-და-სხვა საგნებზე მოსალოპარაკებლად.

მს ძალიან კარგი და ჩინებული საქმეა და ბედნიერებაა სამღვდლოთათვის, რომ შეიტყონ თავიანთი სასწავლებლების მდგომარეობა და საქიროება; მართლაც, კეთილ-გონიერება მოითხოვს, რომ კაცს რაზედაც ფული მისდის, ეკითხებოდეს კიდევ მისი ავი და კარგი.

რაკი ეს საქმე ასეა, ამისთვის მე მაქვს სათხოვნელი ჩემი მოძმეებისათვის, თუ რაზედ უნდა ილაპარაკონ და რა ეჭირება ჩვენ სასწავლებლებს ქალებისა იყოს თუ ვაჭებისა და სამღვდლოებას.

ჩვენ სასულიერო სასწავლებლებს ესაჭიროებათ:

- 1. მართული ენის კათედრის დაწესება ყოველ სასულიერო სასწავლებლებში საქართველოს ეპარქიაში;
2. ამ სასწავლებლების ზედამხედველები ამორჩეულნი იყვნენ სამღვდლოებათაგან კენჭით;
3. ასწავლიდნენ ხელს-საქმეს;
4. იყოს ქართული ვალობა აღდგენილი;
5. საჭიროა ქალების სასწავლებლების მოსამზადებელი კლასი ერთი მცხეთაში, დედათ მონასტერში და

მეორე სიღნაღის მაზრაში წმიდა ნინოს სობოროში დაწესდეს, რადგანაც ერთი და მეორე ჩინებული ადგილებია ყოველის მხრით და მარჯვეც არის ერთი ქართული სამღვდლოთათვის და მეორე ძახეთისა; დიდი სირცხვილიც არის სამღვდლოთათვის, რომ ეს ადგილები ცარიელები იყოს: ერთის (მცხეთის დედათ მონასტერი) სახელი და მეორესი (წმიდა ნინოსი განმანათლებელის) სახელები ძალაუფლებურად აფიქრებინებენ კაცს, რომ ამ ადგილებში უნდა იყოს უმეტესად საქალები, სასწავლებლები;

მსაჭიროება, რომ ყოველ წელიწადს სასულიერო სემინარიად მოთხი კურს-შესრულებულები გაიგზავნებოდეს სასულიერო აკადემიაში.

მსაჭიროება, რომ უნდა ითხოვონ:

1. იყვნენ ბლადოჩინები აღმორჩეულნი სამღვდლოთაგან კენჭით;

2. სამღვდლოთ შტატის ჯამაგირი და სხვა წესების ასასრულებელის ფასი იყოს ერთბაშად ფულად გადაწყვეტილი, რომელსაც ხაზინიდან მიიღებდნენ, მოსასპობლად მღვდლების საყვედურისა;

3. მოველ ეკლესიის კრებულს ჰქონდეს მიცემული მრევლიდან შესაფერი სახლი, რომლის უქონლობისა გამო ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას და მრავალნი სამღვდლონი არიან მოკლებულნი ცოლ-შვილსაც.

სასურველია, რომ ყველა ამ საგნებზე მოილაპარაკოს წლიეანდელმა ყრილობამ.

დღეს, 12-ს, ქართული დრამატული დასისგან დანიშნულია ბენეფისი ქალბ. ბ. ძორინთელისა. შევლა თეატრში მოსიარულესთვის ცხადია რადეწლიც მიუძღვის ამ მოცადინე არტისტკას ქართული სცენისადმი. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საზოგადოება ჩვეულებრივად არ დაიფიცებს იმის სამსახურს და მით უფრო მოვა ამ წარმოდგენაზედ, რომ პირველად მიდის დრამა „სურამის ციხე“.

ჩვენ გეთხოვენ შემდეგ წერილის დაბეჭდვას:

„საყვედურები გვესმის ზოგიერთი ხელის-მოწერილებისგან „შრომის“ რედაქციაზედ, რომ ამ რედაქციამ შემოიღო ახალი ასოებით ბეჭედათვისის ვაჭეთისა, ისეთის ასოებით, რომელიც ძალიან ბევრად განსხვავებულია იმ ასოებისაგან, რომლითაც აქამომდე იბეჭდებოდნენ ჩვენი ქართული გამოცემები. მართული ასოე-

ბი სწორი და მარტივი არისო და ევ რალაც კულ-მოკვეცილი დაგრებილა- დამახინჯებულთა; უფრო სამხურ ხუტურ ასობებს წავაგვს, ვიდრე ნამდ- ვილ ქართულსო, ამბობენ ისინი.

„ეს დაწუნება ხსენებული შრიფ- ტისა იმ ზომამდის მისულა, რომ ზო- გერთი მკითხველები პატივცემული გაზეთის სახალხოდ აღიარებენ, რომ ამ შრიფტის შემოღება ნამდვილი ქართული ასოების დამახინჯება არი- სო, და თუ რედაქციამ მაინც-და- მაინც განაგრძო ამ შრიფტით ბეჭედა თვისის გაზეთისო, იმ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით თავი-დავანე- ბოთ გაზეთის კითხვას, რადგანაც ვერ წავგიკითხავს, თავბოლო ვერ გავვი- გია ამ ანბანისო.

„ეს საყვედური რომ მართა სოფ- ლელი მკითხველებისაგან გვესმოდეს, კიდევ არაფელი; მაგრამ როდესაც ეს ხმა გვესმის თვით ისეთი პირებისაგან, რომელნიც განვითარებული არიან ქართულ ლიტერატურაში, და შეუძ- ლიათ კარგად გამოკვლევა და დაუა- სება ამ ასოების ღირსებისა და ნაკ- ლულეფანებისა, მაშინ კი ღირსია ყურადღების მიქცევისა.

„ამის გამოთაც მიგვიქცევია ამ სა- განზედ პატივცემული რედაქციის ყუ- რადღება, რასაკვირველია პარ-და-პირ იმ მოსაზრებით, რომ გვემინან გა- ზეთმა არ დაჰკარგოს მკითხველი სა- ზოგადოების სიმპათია. რა გვენაღე- ლება ვბეჭდოთ იმ ასოებით, რომე- ლიც უფრო მოსწონს ხალხს და რომ- ლის წაკითხვაც უფრო ეადვილება“.

თ. ქ. ბ.

„ზოდრუას ცირკი ხელ-ახლად გვეწ- ვია და, როგორც ამბობენ, ამ ზამ- თარში აქ დარჩენას აპირებს. ღღეს,

ხუთშაბათს, პირველი წარმოდგენა არის ცირკში.

* *

ამას გარდა ამ დღეებში მოდის ჩვენს ქალაქში გამოჩენილი თვალ- მაქცი (მაგიკი) ბეკერი, რომელიც რამდენიმე წარმოდგენის გამართვას აპირებს

„დროების“ კორექსიონდენსია

რამა, 7 ნოემბერი. რაქის გლეხო- ბას დიდი ხანია აწუხებს მიწის სიციფ- როვე, მაგრამ მათ მაინც ამ უკანასკ- ნელს დრომდინ არ ჰქონიათ განზ- რახვა დეტოვებინოსთ სამშობლო და გარდასახლებულიყონ სხვა ქვეყ- ნებში.

მხოლოდ კი, ეს ორი წელიწადია, რაც რაქის გლეხობამ თითო ოროლობით დაიწყო გარდასახლება შორს ადგი- ლებში. ზემო-რაქიდგან ორას კომ- ლამდინ გარდასახლენ ქაქკაის ახლო- მახლო ადგილებში და ქვემო-რაქიდგან ასს კომლამდინ — აფხაზეთში. ამათ ბევრი აზნაურნიც გაუხდნენ ამხ.ნა- გაღა.

მიზეზი გარდასახლებისა გახლავთ, როგორც ზევით მოვახსენეთ, მცირე მამულიანობა; მეორედ—წლევანდელი მცირე მოსავლიანობა და მესამე ის, რომ გლეხებს ჩამოეჭრა მებატონეე- ბისაგან საუკეთესო მიწები და ამ უკა- ნასკენელებმა მათ ეს მიწები ალაჰ მისცეს სამუშაოდ.

შესაბრალისნი იყვნენ ეს გლეხები, როდესაც იგინი მიდიოდნენ თავისი ბარგით, ცოლ-შვილით და ეთხოვე- ბოდნენ ტირილით თვის სამშობლო- სა, ნათესავებსა და მოყვასთა! საცოდ- ვადალ ჰყავდათ პატარა ყმაწვილები ჩასმული რაქულს ჩელტიანს ურმებ- ში და ისრე შეუდგნენ თავის ახალს გზას.

ამ ქამად დარჩენილი რაქველი

გლეხები, აზნაურნიც და მიღვლინი- ცა მულამ გზაზედ არიან ცხენებითა და ხარ-ურმითა და ისრე ეზიდებიან ქუთაისიდან სიმინდა საზრდოთა. მაგრამ თქვენი მტერია იმათ საქმე ემართებათ რაქა-ლენხუმის გზაზედ, ცხენები ეხოცებათ, დროგები და ურ- მები ელევებათ ცუდის გზისა, ხიდე- ბისა და ბოგირებისა გამო და ისრე ეფანტებათ მათი სისხლის ოფლით ნასყიდი სიმინდი. ამ უბედურ მდგო- მარეობას რაქის მცხოვრებლებისა ყუ- რადღებას არ აქცევენ.

რაქაში მიწის მოსავლის ნაკლუ- ლეფანებამ გააგულკეთილა ზოგიერ- თი ჩვენი შეძლებული მებატონეთა- განი, სახელდობ: თ. შაინოსრა ში- თიანი, ეს ამ დღეებში აგზავნის იმერე- თიდან საყიფიანოში გლეხებისათვის ასი ცხენის საპალნე სიმინდს და აქვს განზრახვა, რომ გლეხებს დაურიგოს ეს სიმინდი შემცირებულის ფასით და ზოგს და ნისიათაც.

მადანკელი.

წერილი რედაქტორთან

(პასუხი ათონიდან წერილზე)

„დროების“ 226 ნომერში წავიკით- ხე ვრცელი წერილი ათონიდან სხი- მონაზონის ბენედიქტესაგან ხელ-მო- წერილი. ჩვენ არ შევხებებით ამ წე- რილის დაწერილებით გამოკვლევას, ვიტყვით მხოლოდ იმ ცუდ-უბრალო ცილის-წამებაზედ, რომელიც შეეხება ათონის ბერძნის ბერებს, და რომელ- თაც ბენედიქტე უყურებს როგორა- თაც უცხოთა და თითქმის მოძულეთა ქართველ მამა მონაზონთა. ეს უკა- ნასკენელი აზრი იმითი ემცნევა, რომ სხიმონაზონი ბენედიქტე ხშირად ამ- ბობს:

„ჩვენი მონასტერი მითვისეს ბერ- ძნებმა... „მართველებს სრულებითაც აღარ იღებენ მონასტერში ბერძნის ბერები, და დღემდისაც ასე მითვისე-

ბული აქვს ბერძნის ბერებს ჩვენი მონასტერი“... რადგანაც ჩვენ შევლ მონასტერში არ შემოვიყვანებთ და სხვ. და სხვ.

ძველის დროდგანვე საქართველოს მეცადინეობა საბერძნეთთან დაახლოე- ბის და ერთობისა ცხადდ სჩანს ისევე ძველის დროდგანვე ბერძნეთ და თვით ქართულ ისტორიებიდან. ამის მტკიცედ ასრულებსათვის ეს ორი ერთი სასულიეროს მხრით აკავშირებ- დენ ერთობას საბერძნეთში სწავლა- განათლების მიღებითა და მონასტრე- ბის შენებითა საზოგადო საცხოვრებ- ლად; ხოლო სახორციელოს მხრით თვითონ მეფენი უფრო ნამეტანის ერთობისათვის ჩამოაგდებდენ ხოლომე მოყვრობას.

ამ გვარი ერთობა და სიყვარული საქართველო-საბერძნეთს შორის გა- გრძელდებოდა ვიდრე მეთვრამეტე სა- უკუნის დამლევამდე; ხოლო ამ დრო- დგან მოხდა ქართველთაგან დატყვე- ვება თავიანთ მონასტრისა, არათუ რომელისამე სიძულილისა გამო ბერ- ძნებთან, არამედ პოლიტიკურის გა- რემოებებებით; მაგრამ ამის შემდეგაც ბერძნები ისევე იმ სიყვარულით უყუ- რებდენ და უყურებდენ კიდევაც ქარ- თველებს, მტკიცედ იცვენ მათ საკუ- თრებას და თუ რაიმე ნივთეულები იქონიება იქა, სიმრთელით ინახვენ.

მაშ ეს თუ ესეა, რაღა არის მიზე- ზი ეხლანდელის უკმაყოფილებისა, რომელიც სჩანს ბერის ბენედიქტეს წერილიდან? ჩემის მხრით დაგარწმუ- ნებთ, ბ. რედაქტორო, რომ ათონის ბერები არაოდეს არ უშლიან ქარ- თველთ ცხოვრებას ამ მონასტერში; მხოლოდ იმათი მოთხოვნისაგან ის არის, რომ ისინი ერთად იმათთან მონაზონურ ცხოვრებას აღასრულებ- დენ წესისა და ტიპიკონისაგან, რომ- ლელიც მიღებულია ყოველთ მართლ- მადიდებელთ ეკლესიისაგან და ეს

„დროების“ ფელტონი, 11 ნოემბერ.

სურათი ჩვენი ცხოვრებიდან

გაი სოფელი რამდენადაა, მას გვაბრუნებ რა ხნე გვირსა- უთვალავ მენი მონალობილი სიადგებტა სემპერ სტანსა.

რუსთაველი.

საბრალე სოლომონი!

სოლომონი იყო სასაღესო სკოლის მასწავლებელი. უმატრნო და ღარიბი ქუჩა-ქუჩა დაწასწალებდა ბავშობის დროს. ერთმა მადლიანმა კაცმა მოსამსახურედ აიყვანა და რა-გი შენიშნა ემასწავლეს სწავ- ლის სურვილი, გამოეზარდა სამაზრო სასწავლებელში. შემდგომ დიდი შეტადი- ნეობისა და შრომისა გიმნაზიაში დაი- ტირა ეგზამენი და მიიღო წოდება პირ- კელ დაწეებითი სწავლის მასწავლებლი- სა. რამოდენიმე წელიწადი იყო მასწავ- ლებდად ერთს სამეგრელოს სასწავლე- ბელში. აი აქ გავიცანით ჩვენ ერთმა- ნერთი.

სამეგრელოს სასწავლებელში დანიშნე- ნამდის, სოლომონი ყოფილიყო მასწავ- ლებდად სხვა სასწავლებელში. ერთი გა-

რემოების გამო სამეგრელოში გადმოე- ყვანათ. სკოლის შედამხედველს, ვიღაც რუსს, დაეთანტა სასწავლებლის ფული, თუ ბასუსის ტრფიანალებში, თუ კარტის თამაშში. როგორც ამ შემთხვევაში ჩვე- ულებდრედად აქვს სკოლის შედამხედვე- ლებს, ამასაც შეედგინა ანგარიში და და- თანტული ფული სკოლის საწარის გასა- ლის საიში დაეწერა. სოლომონმა არ მოუწერა სული საიას. შედამხედველმა იწყინა და თუშტა გი თავისი გაიტანა, მაგრამ მაინც წარადგინა სოლომონი სა- დაც კერ არს საუჭკო და მამოფათარ კა- ცად.

დანიშნა გამოძიება. რაღა თქმა უნდა რომ სოლომონი სტეს დამნაშავედ და დასაჯეს სხვა უფრო მდარე ადგილში გადაეყანით. ადგილის შეცვლით ჯამაგი- რიდან მოაკლდა უოკელ წლივ ასი მანე- თი. რა დასაჯლისა ღარიბი კაცისათვის რომელსაც ცოლშვილიც ჰყავს (სოლო- მონი ამ დროს ცოლ-შვილიანი იყო), ასი მანათის დაგება უოკელ წელიწადს, ადგილი წარმოსადგენია.

სამეგრელოს სასწავლებელში სოლო- მონს ებარა მოსამსახურებელი კლასი. ამ

სასწავლებლის მოსწავლეთა უმეტესი ნა- წილი იყვნენ მეგრელები: სკოლის ორ- მესამედს შეადგენდნენ მეგრელები. შვი- ლები და ერთ მესამედს—გურულები, ბერძნები და რუსები.

საწყაღეს სოლომონს აქაც უდალატა ბუდმა. „გამოუდევ სიმართლესა, გამო- გილევს სინათლესა“—ტყუილად გი არ არის ნათქვამი. შატარა მეგრელების ბაღ- ლებს, რომელნიც, თითქმის ყველანი, სოფლებიდან იყვნენ, რუსული გი არა, ქართულიადაც არა—რს ესმოდათ. მხელი და შესაბრალისი მდგომარეობა არის მასწავლებლისა, როცა მას და მასწავ- ლეს ერთმანეთის არა ესმით. მხელი წარმოსადგენიცა ეს მდგომარეობა, თუ არავის არ გამოუდგინა თავის თავზედ. ეს სიმხელე სოლომონმა, სწორედ მო- გასწავლეთ, გამირული მოთმინებით აიტა- ნა. მოკლეს ხნის განმავლობაში შეის- წავლა მეგრული ენა და ახლად—შემოსულ მოწაფეთა ერთ წელიწადს შესწავლა ქართული ენა.

ასტვდა აუღ-მაყადი:—ემასწავლებელმა რუ- სული ენა არ იცინა, მასწავლებელი არ ვარგაო! საყვედური საყვედურზედ, მუ-

ქარი მუქარზედ, შენიშვნა შენიშვნაზედ მოხდიდა საწყაღეს სოლომონს. უკა- ნასკენლად სასწავლებლის შედამხედველმა უბრძანა, რომ შირ-და-პირ რუსული ენით დაეწყო სწავლა.

ეს ის შედამხედველია, რომელსაც მას დროს „თფილისი მოანბებ“ უწო- დად ეკინიასად და დაათანასწორა გურ- ტენბურგსა და სტეფენსონსა. ამის გუ- ნიოზობა მდგომარეობს მასში, რომ მის ადმოჩინისა საშუალებას უტევსლოდ წამ- თარში ოთახების გათბობისა.

„თფილისის მოანბებ“ გაამყავნა ეს ბოროტ-მოქმედა. შედამხედველმა თავი იმართლა, პასუხი გასცა. უარი არ უთქვამს ცეცხლის აუნთებლობაზედ; მაგ- რამ ამტკიცებდა, რომ საჭიროდ არ რაცნდა ცეცხლის ანთებას წამთარში, რადგანაც ემასწავლებლის სსუელებისაგან თურმე იმადენი სითბო გამოდიდა ოთახებში, რომ სკამარისი იყო ოთახე- ბის გასათბობად. შათესულში გი საჭი- რო არისო დასავლეთ საქართველოში ცეცხლით, ამბობდა ბ. შედამხედველი თავის პასუხში. სამეგრელო ნოტიანი ადგილია და სისხელის საჭიროებისათ-

განცხადებანი

ქუთაისის გამგეობისათვის

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 14-ს ამა ნომერს, კვირას დღით 10 საათზე, იქნება ამოღება წიგნების თეატრში ხმასთანაოთხის წლის ვადით 1883—1886 წლებზე მდინარე სარსისას. (3—1)

თფილისის ქალაქის

გამგეობისათვის

თფილისის სამოქალაქო შპრავა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ნომერისთვის 12-ს, მოხდება ტორგი საქალაქო საწვრებიდან და საწყობიდან შემოსულის იჯარით მიცემად. პირობანი მსურველთ შეუძლიანთ იხილონ ყოველდღე, დღის 10 საათიდან 2 საათ. ნაშუადღევს.

თფილისის სამოქალაქო შპრავის კანცელერიაში (3—3)

ОБЪ ИЗДАНИИ

въ 1883 году

Въ г. Тифлисѣ

еженедѣльнаго юридическаго журнала

„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБЗРѢНІЕ“

(годъ третій)

Журналъ, какъ и прежде, выходитъ по четвергамъ, въ размѣръ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ текста, кромѣ приложеній, по прежней программѣ, въ объемъ которой входятъ статьи по всемъ вопросамъ, вытекающимъ изъ теории и практики права и судопроизводства, перечень, изложеніе и обсужденіе важнѣйшихъ распоряженій и закононѣй правительствъ, братіе отчеты (а въ случаяхъ важныхъ, и стенографическіе) о выдающихся судебныхъ дѣлахъ, особенно интересныя гражданскія рѣшенія, случаи изъ судебной жизни и практики (разныя извѣстія), корреспонденціи юридическаго содержанія, городская хроника, перечень новыя [журн.] юридическаго содержанія и обзоръ печати, тезисы кассационныхъ рѣшеній: Правительствующаго Сената и Тифлисской Судебной Палаты, судебный указатель и пр.

Редакція журнала—Тифлисъ, Давидовская ул. д. Кананова.

Администрація (для приѣма подписки, объявленій и розничной продажи)—Тифлисъ, Сололакская ул. д. Меликова.

Подписная цѣна на журналъ, съ доставкою и пересылкою, на годъ—10 р., на 9 мѣс.—8 р. 20 к., на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 20 к., на 1 мѣс.—1 р. 20 к.,

Разрочки въ платежъ денегъ допускается—для годовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 4 руб. и въ февралѣ и мартѣ по 3 р., и для полугодовыхъ: при подпискѣ 3 р. и чрезъ мѣсяць еще 3 р.

Подписаться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.—Отдѣльные нумера по 25 к.—Объявленія, казенныя и частныя, по таксѣ за занимаемое мѣсто.—Кромѣ администраціи журнала, подписка и объявленія принимаются въ Москвѣ и С.-Петербургѣ въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимога и въ Одессѣ въ газетной торговлѣ Пятровскаго (Дерibasовская улица).

Редакторъ А. В. Степановъ.

Издатель А. С. Френкель.

(Присяжный Повѣренный) (6—1)

ქუთაისის ქალაქის

განცხადებანი

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ცამეტს ნომერს 1882 დანიშნული ვაჭრობა ქუთაისის ბუღვანში მდინელების წელისთვის სავაჭროთ გაკეთებულის კიოსკისა იჯარით გაცემასე.

ვაჭრობა დაიწება 12-ს საათსე და გათავდება 2-ს საათსე.

ქაგური ტელეგრაფი

მთელს რუსეთში და მეროპაში გამოჩენილის, რუსეთის და პრუსიის სასახლის მაგიკისა, პრესტიდიატორისა და მაგნეტიზმისა

პროფესორის ბეკერის მიერ



მაქვს პატივი გაუწეო უმატივემელებს ტფილისის საზოგადოებას, რომ მე სოდესში მიმავალი შექმნილი აქ და ამ ცოტა ხანში შექმნება წარმოდგენები ასლად გადაკეთებულს ვიქსანტიკის სალაში, სასახლის გვერდით.

რომელიც იქნება მოწოდებით თეატრსავით: ლექსებით, 2 სათუფიანის ამფითეატრით, სკამებით, გრესლებით, ბუჭტით და საზოგადოების დასაკმაყოფილებლად ფეხებით,

დიდი ანა ჩვეულებრივი ფანტაზიური

სპირიტუალური წარმოდგენა

ასლად გამოგონილი განსაკვირვებელი თვალთ-მაქცობა, როგორც მაგალითად: La Calloss-Pinnte-Khromo-Krenne ანუ სამოთხის შადრევანი ფერიათ სამელობდოლოდგან, სხვა-და-სხვა ფეროვანის სავადულებით, წყალ-ვარდნალით, ცოცხალის მითოლოგიურის სურათებით—დასრულებენ ბ-ნი ბეკერის ტრუზის ქალები.

დაწვრილებითი პრეგრამმა გამოცხადებული იქნება ცალკე აფიშებით. სასელი და ქება პრეგრამის ბეკერისა ცნობილია მთელს რუსეთში; აგრეთვე ჩემს აქ შეოფობის დროს ამ ოთხი წლის წინად ღირსი შეკვეთს დიდის თანაგრძობისა, ჩემის წარმოდგენებისთვის, ტფილისის საზოგადოებისაგან. ესევე თანაგრძობა დავიმასხურე სხვა ქალაქებშიც. (48—1)

ეორხმასის ქარვასლისაგან.

უცხადებთ პატივემულ საზოგადოებას, რომ ეორხმასის ქარვასლში, რომელიც დღეს ჩვენს საკუთრებას შეადგენს, გამართულია სხვა ქალაქებშიც მოსულ ვაჭრობისთვის ცალკე ნომრები და სადგომი ოთახები, რომელსაც ასლად უფრო იათეფსად ვაჭრობით, ვიდრე ადრე იყო. შეკვეთი ფასები იყო: დამის გსსათევი—10 რაბ. ასლად შეურად გავხადეთ; ცალის შესავრავი მუშის ქირა ადრე იყო ხუთი რაბი, ასლად აბაზია და სხვ.

საჭირად ვრანტს გავაფრთხილეთ განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიის ჩვენი მუშტრები, რომ მოკრიდონ ადრინდელ ჩვენს დათსოვნილ აწენდატრს, რომელიც თითქმის ძალით იტყუილებს მუშტარს აავის ქარვასლში: შუადამის პოვდის მოსვლის დროს მუშებს აყენებს სიონის წინ, პოვდისად მომავალ ფეკტონებს აჩერებენ და ამინად ძალა-უნებურად მიჭყეტ მუშტარი სხვა ქარვასლში. ზოგნი ამათგანი კი მეორე დღეს ისევე ჩვენს ქარვასლში გადმოდიან.

ჩვენვე ვკისრულობთ კამპიონობის მოადგილობას. ჩვენს ქარვასლში შეკრულს თითო ცალზე ვიდრე 20 რაბ. ყოველს სარჯს ჩვენ ვკისრულობთ, ე. ი. დროვისა, მარკისა, მუშისა და სხვ. თუ რამე ნაკლებულებს ადმოჩნდება, პსუსების-შეკვეთი ჩვენ ვიქნებით.

ამასთანავე ვცხადებთ, რომ შექმნილი ჩვენ გვსურს გავამშვიდოთ და შეკვეთით ჩვენი ქარვასლს, ასე რომ მუშტარს ყოველი შეღავათი და საშუალება მივეცეთ თვის საქმის კარვად და სხვაწარმო წარმოებისთვის.

(10—1) ქმანი იარაღ და ონანა პარუნ სარქისოვანი.

დაწვრილებითი ზირობების შეტობა შეიძლება უზრუნველყოფელ დღე უქმის გარდა, დილის 9 საათიდან ვიდრე 2-ს საათამდე. (3—3)

დაიბეჭდა და ისეიდას გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მადანიაში

დედა და შვილი

და

რამდენიმე ლექსი

თ. ილია ჭავჭავაძისა.

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

შასი 15 კაბ.

ამემა ლირსულ გადწეულადის სახელითი
შ-შუა კაცოდ. მსურველთ აღრესი შეუძლიანთ დასტოვონ საქმის დასახელებით—ჟონ მიხანის ბიბლიოტეკაში, ბოლოვინის პროს. სახლი თ. მუხრანსკისა. (3—2)

20 გიორგობისთვის, შაბათს, დანიშნულია

ქრება,

რომელზედაც უნდა შემეშინდეს და გამოიკვლიოს ქართული ტერმინები ყველა სასწავლო საგნებისა. მსურველთ ამ კრებაზე დასწრებისა სთხოვენ დანიშნულ დღისათვის შეკრიბონ, როგორც მზა ქართული ტერმინები, აგრეთვე გამოსაკვლევი სახელები, რომელნიც გარჩეულ იქნებიან კრებაზე

შპორჩილესად სთხოვენ აგრეთვე ქალაქს გარეშე მცხოვრებთა, რომელთაც კი შეუძლიანთ ამ საქმეში დახმარება—თავის ცნობები გამოგზავნონ ამ აღრესით: Тифлисъ, городское Ремесленное Училище, преподавателю А. Гуладзе, ანუ I. Мревлишвили.

აღგილი თავის დროზე იქნება გამაცხადებული. (10—7)

ახალი წიგნი ისტორია შავარდონის ბაჟეთის საგანთოში, გულვარზე შემოკლებული საბარათოლოს ისტორია

შედგენილი რომან ტანცივისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შური, გაგზავნილი ოთხი აბაზია.

ბაშინა

საკვებაზე სარანგულებათა, რომელნიც იყიდებან თფილისის ბაზრებში, აქუნებში და დაცარებთ 1 ნომბრადამ 15 ნომბრამდის.

ბამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის პირველის ხარისხის—1 გირ. 5 1/2 მეორის " —1 გირ. 4 1/2 მესამის " —1 გირ. —

მზავე ფქვილ თორნეში ბამომცხვარი: პირველის ხარისხის—1 გირ. 6 1/2 მეორის " —1 გირ. 4 1/2

ჭვეარის-მამის პური: პირველ ხარის.ლოავში 1 გირ. 6 1/2 მეორის " —1 გირ. 5 1/2 მესამის " —1 გირ. 4 1/2

ძროხის ხორცი: პირველის ხარისხის —1 გირ. 8 1/2 მეორის " —1 გირ. 7 1/2 სუკი — —1 გირ. 1 1/2 ცხვრის ხორცი 1 გირ. 8 1/2

ლორის ხორცი: პირველი ხარისხის —1 გირ. 10 1/2 მეორის " —1 გირ. 9 1/2